Media Advocacy Coalition
კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის

# კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" განცხადება დავით ერაძის სახლზე სროლასთან დაკავშირებით

**გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტელეკომპანია ,,რუსთავი 2 □□□ ჟურნალისტის - დავით ერაძის საცხოვრებელ სახლს ესროლეს.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება 236-ე მუხლით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, დამზადებას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას გულისხმობს.

ტელეკომპანია ,,რუსთავი 2 □□□ ინფორმაციით, დავით ერაძემ მოიპოვა სპორტის სასახლეში მომხდარი ჩხუბის ვიდეომასალა, რომელიც ასახავდა ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილისთვის სახეში დარტყმას.

**კოალიცია ,,მედიის ადვოკატირებისთვის  მიიჩნევს, რომ აუცილებელია, დადგინდეს, ხომ არ უკავშირდებოდა აღნიშნული ქმედება მის ჟურნალისტურ საქმიანობას და ამ ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, საქმეს მიეცეს შესაბამისი კვალიფიკაცია.**

კოალიცია, მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით, მოუწოდებს საგამოძიებო ორგანოებს სწრაფად, ჯეროვნად და სრულყოფილად მოახდინონ აღნიშნული ფაქტის გამოძიება.

~~კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" წევრები:~~

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მედიაკლუბი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“

რეგიონულ მაუწყებელელთა ალიანსი

ლიბერალური აკადემია თბილისი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

სატელევიზიო ქსელი

საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია